დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2026 წლის 26 თებერვალი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2025, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016581) და დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

დანართი №2

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

თანამდებობა	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო	კოეფიციენტი
მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში	17	2720	1.70
სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში	27	2240	1.40